ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1621089

ნომერი: AR1268170

თარიღი : 24.11.2014

გაცემის თარიღი : 01.12.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 25 , (ნაკვეთი N5/35) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა საღარაძე პ/ნ 01019050162
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 30 კორ. 1 ბ. 38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ში, ხოლო მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში და მცირე ნაწილი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში. ვინაიდან თქვენს მიერ დაგეგმილი საპროექტო ბოქსების განთავსება ხდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში განგიმარტავთ, რომ სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშნებლობა, გარდა: ა) განათების, ბ) სარწყავი სისტემის, გ) სარეკლამო ბილბორდის, დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის, ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge